<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი
„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 34-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის შეიძლება წარდგენილ იქნეს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/უმაღლესი განათლების დიპლომი, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალი სტატუსის შესაბამისი პროფესიული მუშაობის გამოცდილება და ფლობს სახელმწიფო ენას.
8. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალი სტატუსის შესაბამისი პროფესიული მუშაობის გამოცდილების მქონე პირებად ჩაითვლებიან:
ა) მოქმედი მოსამართლე, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.
ბ) ყოფილი მოსამართლე, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება და რომლის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან არ გასულა 10 წელი;
გ) სამართლის დარგის გამორჩეული კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება და ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.“

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 34^1 და 34^2 მუხლები:

„მუხლი 34^1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი
1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის წარმოშობიდან 1 თვის ვადაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანონით დადგენილი პროცედურით იწყებს საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო

შერჩევის პროცედურის დაწყებას აცხადებს საქართველოს ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს მეშვეობით.
2. შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის უფლება აქვთ 34-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ პირებს.
3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის განცხადების ფორმას და თანდართული დოკუმენტების ნუსხას. წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს პირის თანხმობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ პირის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, მისი პერსონალური მონაცემების) ამ კანონის 35^2 მუხლით დადგენილი წესით მოძიებაზე/გადამოწმებაზე.
4. ვაკანსიაზე განცხადებები მიიღება შერჩევის პროცედურის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში. ამ კანონის 34-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ პირთათვის, რომლებსაც არ აქვთ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ან შესაბამისი გამოცდის შედეგები ძალადაკარგულია, შერჩევის პროცედურის დაწყებიდან არაუადრეს 21-ე და არაუგვიანეს 25-ე დღისა ტარდება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
5. იუსტიციის უმაღლესი საბჭო განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს შერჩევის პროცედურაში მონაწილეთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს. განხილვის დასრულებისთანავე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება განმცხადებელთა სია, ავტობიოგრაფიები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება განმცხადებელთა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ პირის ასაკს, განათლებასა და პროფესიული მუშაობის გამოცდილებას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიიჩნევს. საკვალიფიკაციო პალატა საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 2 სამუშაო დღის ვადაში.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული გასაჩივრებისა და განხილვის ვადების გასვლის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას შერჩევის პროცესში მონაწილე პირების შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ფარულად შემოხაზავს არაუმეტეს გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობის კანდიდატს. აღნიშნული ბიულეტენები ჩაიყრება დალუქულ ყუთში. კენჭისყრის პროცედურის დამთავრებისთანავე ყუთი იხსნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების თანდასწრებით. ხმების დათვლა ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი შემოხაზავს არაუმეტეს გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობაზე მეტ კანდიდატს, ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა. კენჭისყრის დასრულებისას დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს მდივანი. თუ შერჩევის პროცედურა გამოცხადებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ერთ ან ორ ვაკანსიაზე, შერჩევის შემდგომ ეტაპზე, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე საუკეთესო შედეგის მქონე 3-ჯერ მეტი შერჩევის პროცედურაში მონაწილე. თუ შერჩევის პროცედურა გამოცხადებულია უზენაესი

სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის არანაკლებ 3 ვაკანსიაზე, შერჩევის შემდგომ ეტაპზე, ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, გადადის გამოცხადებულ ვაკანსიაზე საუკეთესო შედეგის მქონე 2,5-ჯერ მეტი შერჩევის პროცედურაში მონაწილე (შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადამსვლელი კანდიდატების რაოდენობა განისაზღვრება ნამრავლის მთელი რიცხვით). კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს პროფესიით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. შერჩევის პროცედურაში მონაწილეების შემდგომ ეტაპზე გადასულთა სია ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. თუ შერჩევის პროცედურაში მონაწილეთა რაოდენობა ნაკლებია ან ტოლია გამოცხადებული შემდგომ ეტაპზე გადასაყვანთა კვოტისა, ეს მონაწილეები კენჭისყრის გარეშე გადადიან შემდგომ ეტაპზე. თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, იგი არ სარგებლობს ამ პუნქტით გათვალისწინებული ხმის მიცემის უფლებით.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული შემდგომ ეტაპზე გადასულთა სიის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში იწყება კანდიდატების მოსმენა. მოსმენა ტარდება საჯაროდ.

9. მოსმენის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა საბჭოს თითოეულ წევრს შესასწავლად გადაეცემა ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია.

10. მოსმენაზე კანდიდატები წარდგებიან ინდივიდუალურად. საბჭოს წევრებს უფლება აქვთ კითხვით მიმართონ თითოეულ კანდიდატს.

11. კანდიდატების მოსმენების დასრულების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს - 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

12. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსმენების დასრულებიდან უახლოეს სხდომაზე ფარულად, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით კენჭს უყრის კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობამდე დაყვანის მიზნით. შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობის კანდიდატი. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს პროფესიით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, იგი არ სარგებლობს ამ პუნქტით გათვალისწინებული ხმის მიცემის უფლებით. შემდგომ ეტაპზე გადასულ კანდიდატთა ვინაობა ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესით კანდიდატთა ვინაობის გამოქვეყნების შემდეგ კენჭი ეყრება საქართველოს პარლამენტისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის წარდგენას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ კანდიდატს, ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სრული

შემადგენლობის ორი მესამედი მაინც. თუ საქართველოს პარლამენტისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ვერ იქნა წარდგენილი გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობის შესაბამისი კანდიდატი, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შერჩევის პროცედურაში შემდგომ ეტაპზე გადასულთა სიიდან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების დარჩენილი ვაკანსიის ოდენობამდე დაყვანის მიზნით, ფარულად, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით კენჭს უყრის კანდიდატებს. შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე გამოცხადებული ვაკანსიის ოდენობის კანდიდატი. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს პროფესიით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. ამ კანდიდატთაგან წარდგენილად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ფარული კენჭისყრით მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმების ორ მესამედს მაინც. თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, იგი უფლებამოსილი არ არის ხმა მისცეს მისი კანდიდატურის საქართველოს პარლამენტში წარდგენას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე.

14. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი კანდიდატების შერჩევისას ხელმძღვანელობენ ამ კანონის 35^1 მუხლის პირველი და მე-3-მე-14 მუხლებით დადგენილი კრიტერიუმებით.

15. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილი კანდიდატის თაობაზე განსხვავებული აზრის შემთხვევაში, უფლებამოსილია წერილობით მიმართოს საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული განსხვავებული აზრი გადაეცემა თითოეულ საქართველოს პარლამენტის წევრს. აგრეთვე, თითოეულ საქართველოს პარლამენტის წევრს გადაეცემა ინფორმაცია ამ მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე კანდიდატისთვის მინიჭებული ქულის შესახებ.

16. თუ საქართველოს პარლამენტში კანდიდატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება ვერ მოხდა, ვაკანსიის შესავსებად, 2 კვირის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით გამოქვეყნებულ სიაში დარჩენილ პირებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების დარჩენილი ვაკანსიის ოდენობამდე დაყვანის მიზნით, ფარულად, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით კენჭს უყრის. შემდგომ ეტაპზე გადადის საუკეთესო შედეგის მქონე დარჩენილი ვაკანსიის ოდენობის კანდიდატი. კანდიდატთა მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს პროფესიით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება. ამ კანდიდატთაგან წარდგენილად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ფარული კენჭისყრით მიიღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმების ორ მესამედს მაინც. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი კანდიდატების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე. **ამ პუნქტით დადგენილი პროცედურა ერთჯერადია.**

17. თუ ამ მუხლით დადგენილი წესით ვერ მოხდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის შევსება, 1 თვის ვადაში ხელახლა იწყება შერჩევის პროცედურა.
18. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის იმ კანდიდატის წარდგენა, ვინც კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღებს საქართველოს პარლამენტის წევრთა ხმების საჭირო რაოდენობას, ერთი და იმავე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, შეიძლება მხოლოდ ორჯერ.
19. ამ მუხლის მე-13 პუნქტით წარდგენილმა კანდიდატმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის შესახებ და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. აღნიშნული ცნობები მიღებისთანავე გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.
20. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას გამოსაყენებელი რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმასა და სპეციალურ კითხვარს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 34[2]. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიება

1. ამ კანონის 36[4] მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, კანდიდატთა ობიექტურად და სრულფასოვნად შესაფასებლად, ამ კანონის 34[1] მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით შერჩევის პროცედურაში მონაწილეების შემდგომ ეტაპზე გადასულთა სიის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე, იწყებს კანდიდატების შესახებ სანდო ინფორმაციის მოძიებას ამ კანონით დადგენილი წესით.
2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას, საფუძვლიანად სწავლობს მათ პროფესიულ რეპუტაციასა და საქმიანობას, ამოწმებს მათ მიერ წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს, აგრეთვე კანდიდატთა მიმართ წარსულში არსებული სისხლისსამართლებრივი/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე ინფორმაციას.
3. ამ მუხლის შესაბამისად უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ კანდიდატების შესაფასებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის კენჭისყრისას გაითვალისწინოს მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია.

4. ინფორმაციის მოძიების შედეგად უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ მიღებული მონაცემები კონფიდენციალურია და რაიმე ფორმით მათი გამჟღავნება დაუშვებელია.
5. ამ მუხლის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია დაუკავშირდეს კანდიდატის რეკომენდატორებს, ყოფილ დამსაქმებლებსა და კოლეგებს, შესაბამისი სასწავლებლის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს, აგრეთვე იმ უწყებებს, სადაც შესაძლოა ინახებოდეს ინფორმაცია კანდიდატის ნასამართლობის, ადმინისტრაციული და დისციპლინური დავების და დარღვევის ჩადენის შესახებ. ინფორმაციის მისაღებად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული ვალდებულია შესაბამის პირს წარუდგინოს კანდიდატის წერილობითი თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების მოძიებაზე/გადამოწმებაზე.
6. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული იყენებს რეკომენდაციის სტანდარტულ ფორმასა და სპეციალურ კითხვარს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილმა სტრუქტურულმა ერთეულმა გამონაკლისის სახით შეიძლება ინფორმაციის მიმწოდებელს დამატებითი შეკითხვებით მიმართოს ან/და ინფორმაციის მისაღებად მის მიმწოდებელთან ზეპირი კომუნიკაცია გამოიყენოს, რაც წერილობით უნდა გაფორმდეს და ინფორმაციის მიმწოდებელმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს.
7. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ან/და კომუნიკაცია ერთიან შემაჯამებელ ოქმში უნდა აისახოს.
8. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ამ მუხლით დადგენილი წესის დარღვევით მოძიებული ინფორმაცია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინება.
9. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის წარდგენისთანავე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია აცნობოს კანდიდატს ინფორმაციის მოძიების დასრულების შესახებ და უზრუნველყოს თითოეული კანდიდატისათვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მას შემდეგ რაც ინფორმაციის მოძიების შედეგები ხელმისაწვდომი გახდება, კანდიდატს უფლება აქვს 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან/და სათანადო წესით გააბათილოს მის შესახებ მოძიებული მონაცემები. კანდიდატს ასევე უფლება აქვს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ ნებისმიერ დროს გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. ინფორმაციის წყარო კონფიდენციალურია. კანდიდატი აღნიშნულ ინფორმაციას ეცნობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას.
10. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაცია

დალუქული ინახება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ დაცულ ადგილას არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

3. 36-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით 10 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადისა, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.“

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები ითვლებიან გაწვეულად.

2. ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის არსებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის შესავსებად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის პროცედურა დაიწყოს ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**